## პროკურატურის პოზიცია

## ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებულ სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N15 ანგარიში მითითებულ, პროკურატურის მიერ მოთხოვნილ აღკვეთის ღონისძიებების სტატისტიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით

პროკურატურის მიერ საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა მოთხოვნის შესახებ სრულყოფილი და ობიექტური სურათის შექმნის, აგრეთვე წლების განმავლობაში მოთხოვნილი პატიმრობების ზრდის ან კლების ტენდენციის გამოვლენის მიზნით პროკურატურის მიერ მოხდა შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების დამუშავება.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში აშკარაა ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მატების ტენდენცია, რაც განპირობებულია პროკურატურის პოლიტიკით, საპროცესო შეთანხმება გამოყენებულ იქნეს, როგორც რეალურად სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების მექანიზმი. აღნიშნულ ტენდენციას მკაფიოდ ასახავს ქვემოთ არსებული გრაფიკი


საპროცესო შეთანხმების გაფორმების სტადიები
2014 წელი
2015 წელი
2016 წელი
2017 წელი
2018 წელი
2019 წელი
2020 წელი
2021 წლის 6 თვე
პირველი წარდგენის სხდომაზე
36%
39.7%
44.4%
51.2%
57.4%
64.6%
64.7%
70.1%
არსებითი განხილვის სხდომაზე
38.7%
40.2%
36.5%
32%
28.2%
23%
25.3%
20.4%
წინასასამართლო სდომაზე
12.7%
10%
10.1%
8.60%
8.5%
7%
5.4%
5.2%
პირველი წარდგენიდან წინასასამართლო სხდომამდე
5.4%
6%
8.2%
9%
10.1%
12.6%
4.5%
4.3%

საქართველოს პროკურატურის მიერ 2015-2020 წლებსა და 2021 წლის 6 თვეში სულ მოთხოვნილ აღკვეთის ღონისძიებებში საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით დამუშავდა აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული მონაცემები. თავდაპირველად დათვლილ იქნა საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის მაჩვენებელი საქართველოს პროკურატურის მიერ წარდგენილი იმ შუამდგომლობებიდან, რომელიც განხილულ იქნა სასამართლოს მიერ.

აღნიშნული მონაცემების თანახმად, 2015 წელს პატიმრობის მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა 45.7%-ს; 2016 წელს – 44.2%-ს; 2017 წელს – 44.5%-ს; 2018 წელს – 55.2%-ს; 2019 წელს – 63.9%-ს, 2020 წელს – 67.8%-ს, ხოლო 2021 წლის 6 თვეში - 64%-ს:




საქართველოს პროკურატურის მიერ დამუშავდა აგრეთვე საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები იმ შუამდგომლობების მიხედვით, სადაც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ პროკურორის მიერ წარდგენილი შუამდგომლობები დარჩა განუხილველი, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო.

სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო განუხილველად დატოვებული შუამდგომლობებიდან 2015 წელს საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება

მოთხოვნილი იყო ბრალდებულთა 8.1%-ის, 2016 წელს - 5.1%-ის, 2017 წელს 3.5%-ის, 2018 წელს 3.5%-ის, 2019 წელს - 2.9%-ის, 2020 წელს - 3.4%-ის, ხოლო 2021 წლის 6 თვეში - 2,7%-ის მიმართ:




ერთობლივად, სასამართლოს მიერ განხილულ და საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზეზით განუხილველად დატოვებული შუამდგომლობების საერთო რაოდენობიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის მაჩვენებელი შემდეგია: 2015 წელს პატიმრობის მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა 37.5%-ს; 2016 წელს – 33%-ს; 2017 წელს – 30.1%-ს; 2018 წელს – 35.7%-ს; 2019 წელს – 39.5%-ს, 2020 წელს – 44.9%-ს, ხოლო 2021 წლის 6 თვეში - 41,5%-ს:




**ამდენად, სრულყოფილი მონაცემების ანალიზით დგინდება, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშებში მითითებული, პროკურატურის მიერ საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი არის არასრული და შესაბამისად - მცდარი. 2020 წლის განმავლობაში, პროკურატურის მიერ მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი რეალურად შეადგენს 41.5%-ს, რაც 30.5%-ით ნაკლებია ახალგზარდა იურისტთა ასოციაციის მიერ ანგარიშში ასახული მოთხოვნილი პატიმრობის 72%-იან მაჩვენებლებზე.**

ანგარიშში მითითებულ სხვა საკითხებზე პროკურატურის მოსაზრებები უცვლელია. აღნიშნული მოსაზრებები ასოციაციას გადმოეგზავნა წინა ანგარიშებთან დაკავშირებით.